სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის
მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების
შესყიდვის მიზნით გამოცხადებული #1313 კონკურსის
კომისიის სხდომის

ოქმი #3

ქ. თბილისი 18 აგვისტო, 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან უჯმაჯურიძე	- საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;
ნიკოლოზ პაპიძე	- საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
ავთანდილ კორახაშვილი	- საკონკურსო კომისიის წევრი;
გივი ბასილაძე	- საკონკურსო კომისიის წევრი;
ნატალია ხომასურიძე	- საკონკურსო კომისიის წევრი;
რევაზ სიჭინავა	- საკონკურსო კომისიის წევრი;
თათია უშვერიძე	- საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:

თენგიზ ქურდაძე	- საკონკურსო კომისიის წევრი, შვებულებაში ყოფნის გამო.

დღის წერიგი:

1. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კუთვნილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სელექციის დასახლებაში (საკადასტრო კოდი: 72.02.42.280) მდებარე შენობის ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიად გადაკეთებასთან დაკავშირებული სარეკონსტრუქციო, ამავე შენობის მიმდებარედ, დამხმარე ნაგებობების (აირების საცავი საკომპრესორო, თხევადი და აალებადი რეაქტივების საწყობი) მშენებლობასთან და ეზოს კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ #1313 კონკურსში შპს „New Arch Studio"-სა და შპს „TOURBILLION - ტურბილიონი"-ს მიერ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

2. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კუთვნილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სელექციის დასახლებაში (საკადასტრო კოდი: 72.02.42.280) მდებარე შენობის ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიად გადაკეთებასთან დაკავშირებული სარეკონსტრუქციო, ამავე შენობის მიმდებარედ, დამხმარე ნაგებობების (აირების საცავი საკომპრესორო, თხევადი და აალებადი რეაქტივების საწყობი) მშენებლობასთან და ეზოს კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ #1313 კონკურსში, კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა.

მოისმინეს:

1. კომისიის აპარატის წევრის ინფორმაცია, რომ **შპს „New Arch Studio"-სა მიერ,** საკონკურსო კომისიის 2014 წლის 12 აგვისტოს სხდომის ოქმი #2-ით დადგენილ ვადებში, **წარმოდგენილ იქნა ოქმი #2-ით მოთხოვნილი დაზუსტებული ინფორმაცია,** კერძოდ საკონკურსო განცხადების მე-14 პუნქტის შესაბამისად, განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან გაცემული **საკონკურსო განაცხადის გამოქვეყნების (29.07.2014) თარიღის შემდგომ.**

2. კომისიის აპარატის წევრის ინფორმაცია, რომ **შპს „TOURBILLION - ტურბილიონი"-ს მიერ,** საკონკურსო კომისიის 2014 წლის 12 აგვისტოს სხდომის ოქმი #2-ით დადგენილ ვადებში, **წარმოდგენილ იქნა ოქმი #2-ით მოთხოვნილი დაზუსტებული ინფორმაცია,** კერძოდ საკონკურსო განცხადების მე-14 პუნქტის შესაბამისად, განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან გაცემული **საკონკურსო განაცხადის გამოქვეყნების (29.07.2014) თარიღის შემდგომ.**

განხილვა:

1. საკონკურო კომისია გაეცნო **შპს „New Arch Studio"-სა და შპს „TOURBILLION - ტურბილიონი"-ს** მიერ, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციებს და მიიჩნია, რომ ისინი სრულად შეესაბამება შემსყიდველის მიერ, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემსყიდველის მიერ საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, გაიმართა საკონკურსო წინადადებების შეფასება წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებისა და მათი პრიორიტეტულობის შესაბამისად (არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი – 0.4 ; კონკურსანტის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.3 ; წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2 ; საბოლოო პროექტის წარმოდგენის ვადა: კოეფიციენტი – 0.1).

შეფასება:

საკონკურსო კომისიის მიერ, პრეტენდენტთა წინადადებების შეფასების შედეგად გამოვლინდა:

1. **შპს „საქპროექტარქიტექტურა"-მ** მიიღო ჯამური - **50.7 ქულა;**

2. **შპს „New arch studio"-მ** მიიღი ჯამური - **51.8 ქულა;**

3. **შპს „TOURBILLION - ტურბილიონი"** მიიღი ჯამური - **54.2 ქულა.**

დაადგინეს:

1. **სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი"-ს** მიერ, საპროექტო-სახართაღრიცხვო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ #1313 **კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „TOURBILLION - ტურბილიონი" და მოწვეულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.**

2. **საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს:**

   - უზრუნველყოს **შპს „ტურბილიონი"-ს** ინფორმირება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ და მოიწვიოს **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ხელმოსაწერად არაუგვიანეს 2014 წლის** 22 აგვისტოსა;

- დაუყონებლივ უზრუნველყოს წარმოდგენილი წინადადებების, წინამდებარე ოქმისა და გამარჯვებული კონკურსანტისთვის გასაგზავნი წერილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა ელექტრონული ფოსტის მისამართზე - **contest@procurement.gov.ge**.

კომისიის წევრთა ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე:	ლევან უჯმაჯურიძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	ნიკოლოზ პაპიძე
კომისიის წევრები:	ავთანდილ კორახაშვილი
	გივი ბასილაძე
	ნატალია ხომასურიძე
	რევაზ სიჭინავა
კომისიის აპარატის წევრი:	თათია უშვერიძე